შალვა ყიფშიძე

უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების მნიშვნელობა ადმინისტრაციულ საპროცესო კანონმდებლობაში

„მართლმსაჯულება, სამართლის ქმნა ერთი
იმისთანა არსებითი საჭიროებაა, ურომლისოდაც
ერთი დღეც არ შეუძლია იცხოვროს ქვეყანამ და ერმა“
ილია ჭავჭავაძე[1]

I. შესავალი

„ადმინისტრაციული სამართლის წარმოშობა დაკავშირებულია პრინციპულად გამორჩეულ მიდგომასთან – ადამიანის და მოქალაქის უფლებების უზენაესობის აღიარების, დაცვასთან, სამართლებრივი სახელმწიფოს იდეის და ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრებასთან, ადმინისტრაციული სამართალი დაკავშირებულია სახელმწიფოს ადმინისტრაციული, მმართველობითი საქმიანობის განხორციელებასთან“.[2]

მართლმსაჯულების სისტემის ეფექტურობა სამართლებრივი წესრიგის განმტკიცებისა, სამართლებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნდამენტურ წინაპირობას წარმოადგენს.[3]

წინამდებარე სტატია ეძღვნება უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების ზოგად მიმოხილვას. განხილულია უფლების წინასწარ დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების ცნება, მნიშვნელობა და ფუნქციები. ასევე, უფლების

---

[1] ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული (ოც ტომად), ტ. 13, თბილისი, 2007, 62.

[2] კოზირინი ა.ნ., შტატინა მ.ა., საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი, ი. ხარშილაძის და ნ. ოვსიანიკოვას თარგმანი, თბილისი, 2014, 12.

[3] შმიტი შ., რიჰტერი ჰ., მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2013, 3.

წინასწარი დაცვის საპროცესო ღონისძიების ეფექტურობასთან დაკავშირებული საკითხები.

კვლევის დასასრულს წარმოდგენილია, დასკვნა უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიებების და მათი პრაქტიკაში გამოყენების ეფექტურობის შესახებ, ასევე განხილულია სტატიაში წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაჭრის გზები და შესაძლო ვარიანტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ ეფექტურად აღმოფხვრას. საბოლოო ჯამში კვლევა ნათელ წარმოდგენას იძლევა უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიებების მნიშვნელობის და მათი პრაქტიკაში გამოყენების შესახებ.

II. უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების ზოგადი მიმოხილვა

სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დეკლარირება იქნება ფუჭი და არაფრისმომცემი, თუ არ განისაზღვრება მათი რეალიზაციის ეფექტიანი მექანიზმები. „სასამართლო დაცვა ეფექტიანი შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი დროულად ხორციელდება“.[4] ამ ძირითადი უფლების მთავარი მოთხოვნაა ხელისუფლების ისეთი გადაწყვეტილებების მაქსიმალურად შემცირება, რომლებიც დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდნენ.[5] აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია არსებობდეს მექანიზმი, რომელიც მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების რეალურ შესაძლებლობას მისცემს მხარეებს.

ადამიანის უფლების დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებები წარმოადგენს.

---

[4] იზორია ლ., კორკელია კ., კუბლაშვილი კ., ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, თბილისი, 2005, 370.

[5] ჩარხოშვილი ნ., სუსპენზიური ეფექტი, როგორც მხარის უფლების წინასწარი დაცვის განსაკუთრებული მექანიზმი ადმინისტრაციულ სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2013, 114.

სარჩელის უზრუნველყოფის არსი სამართალწარმოებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან და ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს. სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება როგორც წესი ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეს მატერიალური უზრუნველყოფის საშუალება სამართლებრივი ურთიერთობის დროს გამოყენებული არ აქვს, ხოლო სამართალწარმოების დროს ხედავს რისკს, რომ შესაძლებელია სამომავლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება გაძნელდეს ან შეუძლებელი გახდეს.

1997 წლის 19 მარტს ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებით დაადგინა, რომ უფლება მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობაზე იქნება ილუზიური, თუკი ეროვნული სამართლის სისტემა დაუშვებს, რომ საბოლოოდ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება აღუსრულებელი დარჩეს“.[6]

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება არსებით ხასიათს იძენს ისეთ რეალობაში, როდესაც სასამართლო გადატვირთულია და შესაძლებელია მოხდეს დავის დიდი ხნის განმავლობაში გაწელვა, რასაც შესაძლებელია მოჰყვეს მოპასუხეთა მხრიდან ქონების განრიდება, გადამალვა, თვალთმაქცური გარიგების პირობებში ამ ქონების სხვა პირებზე გადაფორმება და ა.შ. ნაკისრი ვალდებულების თავიდან არიდების პირობებში, მაშინ, როდესაც მატერიალურ-სამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიება მხარეს გამოყენებული არ აქვს, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობის შემთხვევაში მოპასუხე, არაკეთილსინდისიერ მხარეს სხვადასხვა საშუალება აქვს სამომავლოდაც აირიდოს თავიდან ვალდებულების შესრულება, მიუხედავად სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა.

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით, მხარემ უნდა დაარწმუნოს სასამართლო, რომ საპროცესო უზრუნველყოფის გამოუყენებლობის შემთხვევაში მის მიერ

[6] იხ., ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1997 წლის 19 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე, „ჰორნსბი საბერძნეთის წინააღმდეგ“ (Hornsby v. Greece), პარ. 40.

სადავოდ გახდილი საკითხი რეალური აღსრულების გარეშე შეიძლება დარჩეს, თუმცა ამ შემთხვევაში მხარე მოკლებულია შესაძლებლობას წარადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები სასამართლოში, რადგანაც ამ დროს რთულია სამომავლოდ მოპასუხე მხარის მიერ განსახორციელებელ მოქმედებებზე ხელშესახები მტკიცებულებების წარდგენა.

ადმინისტრაციულ სამართალში სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებებს წარმოადგენს სუსპენზიური ეფექტი, რომელიც აქტის ავტომატურ შეჩერებას გულისხმობას და დროებითი განჩინება, რომელიც მიიღება, სასამართლოს მიერ მხარის შუამდგომლობის საფუძველზე, არსებული მდგომარეობის შენარჩუნების ან სამართლებრივი ურთიერთობების წინასწარი დროებითი მოწესრიგების მიზნით.[7]

III. უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების ფუნქციები

1. უფლების წინასწარი დაცვის ზოგადი ფუნქციები

ადმინისტრაციული სამართლის მიზანია ინდივიდის სამართლებრივი დაცვა ჩარევისგან. ამასთან, ადმინისტრაციული პროცესი ითავსებს ადამიანის უფლების სტაბილიზირებისა და დაკმაყოფილების ფუნქციასაც. საბოლოოდ, ადმინისტრაციულ სამართლებრივ დაცვას აქვს პრევენციული მოქმედება. რომლითაც ხორციელდება კონტროლი ადმინისტრაციულ ორგანოებზე და ამ გზით შესაძლებლობის ფარგლებში ხორციელდება მატერიალური სამართლის ფართო და სწორი რეალიზება.[8] გერმანულ სამარ-

[7] ჩარხოშვილი ნ., სუსპენზიური ეფექტი, როგორც მხარის უფლების წინასწარი დაცვის განსაკუთრებული მექანიზმი ადმინისტრაციულ სამართალში, ჟურნ. „მართლმსაჯულება და კანონი“, N4, 2013, 13.
[8] Gygi f., Bundesverwaltungsrechtspflege, Bern, 1998, 19.

თალში უფლების წინასწარი დაცვის ზოგადი ფუნქციების განხილვისას გამოყოფენ შემდეგ საკითხებს:[9]

1.1. სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა

შესაძლებლობა, რომ მავალდებულებელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სამართლებრივი მიზანშეწონილობა დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ შეფასდეს, არის სამართლებრივი სახელმწიფოს არსებითი მახასიათებელი.[10] იმ შემთხვევაში, თუ პირს არ შეუძლია მის წინააღმდეგ მიღებული ზომების (სასამართლოს მეშვეობით) გადამოწმება, იგი ხდება სამართალგამომყენებლის ან ადმინიტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების - თვითნებობის ადრესატი.[11]

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვის მნიშვნელოვანი ამოცანაა, რომ შეამოწმოს კერძო პირებთან მიმართებით სახელმწიფოს ჩარევის სამართლებრივი მიზანშეწონილობა. ამ გზით შესაძლებელი ხდება კერძო ინტერესებისათვის ზიანის თავიდან აცილება და პირთათვის ინდივიდუალური და ქმედითი სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა.[12]

1.2. დაკმაყოფილება

ადმინისტრაციული სამართლის პროცესი მიზნად ისახავს სადავო სამართლებრივი ურთიერთობების იმპერატიულად დარეგულირებას. იმ პირობებში, როდესაც რაიმე ზომის მიღებისას განსაზღვრადობის/განჭვრეტადობის პრინციპი წინა საფეხურზე დგას, დავის გადაწყვეტის ფუნქციას სამართალწარმოების პროცესში გან-

---

[9] Baumberger X., Aufschiebende wirkung bundesrechtlicher rechtsmittel im öffentlichen recht, Zürich, 2006, 13., შდრ., Gygi f., Bundesverwaltungsrechtspflege, Bern, 1998, 23.

[10] Gygi f., Bundesverwaltungsrechtspflege, Bern, 1998,18.

[11] იქვე.

[12] Baumberger X., Aufschiebende wirkung bundesrechtlicher rechtsmittel im öffentlichen recht, Zürich, 2006, 11.

საკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ადმინისტრაციულსამართლებრივი დაცვა შესაძლებელს ხდის, სამართლებრივად სადავო გარემოებები ერთ წინასწარგანსაზღვრულ პროცესში მოგვარდეს და სამართლებრივი წესრიგი ხელახლა დამყარდეს.[13]

ამ შემთხვევაში მხარეთა ცოდნას – მიმართონ სასამართლოს, დიდი მნიშვნელობა აქვს წინააღმდეგობრივი საკითხების სწრაფად, კომპეტენტურად და იმპერატიულად გადაწყვეტისათვის. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია სამოქალაქო პროცესში, თუმცა მას დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ პროცესშიც, იმ დავაში, რომელშიც ორი მოწინააღმდეგე მხარის გარდა მესამე პირიც მონაწილეობს.[14]

2. უფლების წინასწარი დაცვის განსაკუთრებული ფუნქციები

უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიებები მიემართება (ძირითადად არაპირდაპირად) იმ მიზნებისაკენ, რომ მაქსიმალურად განხორციელდეს სამართლებრივი დაცვის რეალიზება. იმის გათვალისწინებით, რომ კანონის დისპოზიციას შესაძლებელია უკუქცევითი ძალა მიენიჭოს მის მიღებამდე არსებული პერიოდისათვის,[15] სადავო მოთხოვნის შემთხვევაში ფუნდამენტურად მნიშვნელოვანია არა ბოლო ინსტანციის გადაწყვეტილება, არამედ თავად აქტის/გადაწყვეტილების მიღების დრო.[16] იმ შემთხვევაში, თუ მხარე ასაჩივრებს იმ აქტს, რომლითაც მას ფულადი ვალდებულების შესრულება დაეკისრა და თუ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, ამ დროს პროცენტი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის უკუქცევითად იმოქმედებს და არა საჩივართან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანის შემდგომ. უკუქცევითი მოქმედება არის ნაწილობრივ შეუძლებელი ან არასაკმარისი, როდესაც მას არ ძალუძს უკვე წარმოშობილი ზიანი პირვანდელ მდგომარეობაში აღადგინოს. წინასწარი/დროებითი

[13] იქვე, 12.
[14] იქვე.
[15] იქვე, 15.
[16] Häner I., Vorsorgliche Massnahmen, 1997, 45.

სამართლებრივი დაცვის ერთგვარი უსაფრთხოებისა და შუალედური დაკმაყოფილების ფუნქცია ხელს უწყობს ამ პრობლემების აღმოფხვრას.[17]

2.1. უსაფრთხოების ფუნქცია

2.1.1. არსებული მდგომარეობის შენარჩუნება თუ გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილება

წინასწარი სამართლებრივი დაცვის საშუალებებს გააჩნიათ უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნქცია. თუმცა, სადავოა, ენიჭება თუ არა უპირატესობა სტატუს ქვოს აღდგენას[18] ან გარდაუვალი ზიანისგან თავის აცილებას.[19]

შესაბამისი პირობების არსებობისას, შესაძლებელია, არსებული მდგომარეობის შენარჩუნებამ აქტის ადრესატისთვის გარდაუვალი ზიანი გამოიწვიოს.[20] აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია იმ აქტების მიმართ, რომლებიც მესამე პირზე ახდენს ზემოქმედებას.[21] იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, მესამე პირის საჩივარი მშენებლობის ნებართვის მიმართ მოქმედებს სუსპენზიურად, მშენებლობის დაწყება გარკვეული დროის განმავლობაში შეუძლებელი იქნება. ამიტომაც არის არსებითი იმის გარკვევა, თუ რომელი ფუნქციაა უფრო მნიშვნელოვანი.[22]

წინასწარი სამართლებრივი დაცვის ერთგვარ მიზანს – უსაფრთხოებასა და ნორმატიული სამართლებრივი წესრიგის რეალიზებას, შეუძლია არსებული ფაქტობრივი ურთიერთობების ცვლილება ან მისადაგება აუცილებელი გახადოს. წინასწარი სამართლებრივი დაცვის მიზანი, რომ მატერიალური სამართლის ეფექტური იმპლემენტირების უზრუნველყოფა მოახდინოს, მეტყველებს იმ

---

[17] იქვე.

[18] Baumberger X., Aufschiebende wirkung bundesrechtlicher rechtsmittel im öffentlichen recht, Zürich, 2006, 15. შდრ., Häner I., Vorsorgliche Massnahmen, 1997, 46.

[19] იქვე.

[20] Gygi f., Bundesverwaltungsrechtspflege, Bern, 1998, 25.

[21] იქვე 26.

[22] Häner I., Vorsorgliche Massnahmen, 1997, 46.

პოზიციის წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც, ამჟამინდელი მდგომარეობის დაცვა წინასწარი სამართლებრივი დაცვის ღონისძიებებთან შედარებით უფრო წინა საფეხურზე დგას. მნიშვნელოვანია, წინასწარმა სამართლებრივმა დაცვამ უზრუნველყოს, რომ აღნიშნული შემაკავებელი საშუალებები არ იყოს ილუზიური, იმ შემთხვევაში, როდესაც პოზიტიური გადაწყვეტილების დარღვეული სიკეთის მიმართ უკუქცევითად მოქმედება შეუძლებელია. აღნიშნული შესაბამისობაშია ეფექტური სამართლებრივი დაცვის[23] მოთხოვნასთან და შეუძლია სუსპენზიური ეფექტის ან სხვა იმგვარი საშუალების გაუქმების მოთხოვნა, რომელიც არსებულ მდგომარეობას ცვლის.[24]

არსებული მდგომარეობის შენარჩუნება შესაძლებელია განხილულ იქნეს ორი მიმართულებით. მაგალითად, თუ მიღებულ იქნა გარემოსათვის საფრთხის შემცველი აქტი, შენარჩუნდება გარემოს მდგომარეობა. თუმცა, აღნიშნული პირდაპირ მიუთითებს სტატუს ქვოს შენარჩუნებისაკენ. დასახელებული შემთხვევა აჩვენებს, რომ სტატუს ქვოს შენარჩუნებასთან დაკავშირებით არ არსებობს ერთგვაროვანი და ერთიანი კრიტერიუმი, როდესაც გადასაწყვეტია, რომელი არსებული მდგომარეობის დაცვა უნდა მოხდეს.[25]

შეჯამების სახით, შესაძლებელია თქვას, რომ გამართლებულია, ამ შემთხვევაში ნათლად დადგინდეს უპირატესობა ერთი მხრივ, გამოუსწორებელი ზიანის აცილებასთან და მეორე მხრივ, არსებული მდგომარეობის შენარჩუნებასთან მიმართებით.[26]

2.1.2. გადაწყვეტილების წინასწარი პროგნოზირება

„სასამართლოს მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ასაბუთებს

---

[23] Baumberger X., Aufschiebende wirkung bundesrechtlicher rechtsmittel im öffentlichen recht, Zürich, 2006, 17.

[24] იქვე.

[25] Gygi f., Bundesverwaltungsrechtspflege, Bern, 1998, 27.

[26] იქვე.

განმცხადებელი სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების გარდაუვალობას სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილების თვალსაზრისით“[27]. თუ „სასამართლოს გაუჩნდება დასაბუთებული ვარაუდი, რომ უზრუნველყოფის ღონისძიებათა მიუღებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას, მას გამოაქვს განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემყარება მოსამართლის ვარაუდს, რომ მხარის სასარჩელო მოთხოვნა შეიძლება დაკმაყოფილდეს. ასეთი ვარაუდი გავლენას არ ახდენს სასამართლოს მიერ შემდგომი გადაწყვეტილების გამოტანაზე“.[28]

სასამართლოს განმარტებით „სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიღება ემსახურება დავის საგნის დაცვას იმ მიზნით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება აღსრულდეს დაუბრკოლებლად. ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფა დროებითი ხასიათის ღონისძიებაა, რომელიც სასამართლოს მიერ სასარჩელო სამართალწარმოების წესით დადგენილი უფლების რეალიზებას უწყობს ხელს, იგი სასარჩელო მოთხოვნის დაცვასა და ეფექტურად განხორციელებას ისახავს მიზნად. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მიზანია სარჩელზე მომავალში მისაღები გადაწყვეტილების რეალურად აღსრულებისათვის მოსალოდნელი დაბრკოლების თავიდან აცილება“.[29] ამასთან, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას სასამართლო გამოიყენებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა განმცხადებელი შეძლებს დაამტკიცოს კონკრეტული უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა რატომ გააძნელებს ან რატომ გახდის შეუძლებელს გადაწყვეტილების აღსრულებას, ასევე უნდა დაასაბუთოს ამ ღონისძიების გამოყენების აუცილებლობა.[30]

---

[27] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის განჩინება N3/ბ-1146-14.
[28] იქვე.
[29] იქვე.
[30] იქვე.

2.1.3. გამოუსწორებელი ზიანის ცნება

იმის გათვალისწინებით, რომ უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების პირველადი მიზანია გამოუსწორებელი ზიანის თავიდან აცილება, აუცილებელია გაირკვეს, თუ რა იგულისხმება ამ ცნების ქვეშ. ერთი შეხედვით, თითქოს არ არის რთული გამოსწორებად და გამოუსწორებელ ზიანს შორის საზღვრის პოვნა. თუმცა აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს. დროის ფაქტორის გამოკვეთის დროს ნებისმიერ დაყოვნებას, უმეტესად ფაქტობრივი კუთხით, შეუძლია გამოუსწორებელი ზიანი წარმოშვას.[31]

იმისდა მიუხედავად, რომ რთულია წინაპირობების განზოგადება, თუ როდის იქნება სახეზე გამოუსწორებელი ზიანი, შესაძლებელია ითქვას შემდეგი: დროის ფაქტორისა და მასთან დაკავშირებული გამოუსწორებელი ზიანის საფრთხის გააზრებას სამართლის პრაქტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება.[32]

უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების გამოყენება შეიცავს ვარაუდს, რომ აქტის ადრესატი დგება იმ გამოუსწორებელი ზიანის საფრთხის წინაშე, რომლის ფარგლებშიც საფრთხე ექმნება განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესსაც. გამოუსწორებელი ზიანი უფლების წინასწარი დაცვის მექანიზმის გამოყენებისას ცალკეულ შემთხვევაში, უფრო ფართოდ უნდა განიმარტოს, ვიდრე იმავე გამოუსწორებელი ზიანის საკითხი შუალედური გადაწყვეტილების გასაჩივრებადობის დადგენისას.[33]

2.2. გადაწყვეტილების მიმღები ინსტანციის დაცვა

უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობის გარეშე ადმინისტრაციული ორგანო დადგებოდა არჩევანის წინაშე, დაეჩქარებინა მცდარი

---

[31] Baumberger X., Aufschiebende wirkung bundesrechtlicher rechtsmittel im öffentlichen recht, Zürich, 2006, 20.
[32] იქვე, 21.
[33] იქვე, 22.

გადაწყვეტილება ან ემოქმედა იმ საფრთხის ქვეშ, რომ დავის საგანი შესაძლოა განადგურდეს ან გარკვეულწილად გახდეს პრეიუდიცირებული იმგვარად, რომ მისი პირვანდელ მდგომარეობაში დაბრუნება შეუძლებელი იყოს. ორივე შემთხვევა დააზიანებდა ადმინისტრაციული ორგანოს ავტორიტეტს და ეჭვქვეშ დააყენებდა სამართალწარმოებას და სამართლებრივი დაცვის ეფექტურობას. ამიტომაც ატარებს უფლების წინასწარი დაცვის ფუნქცია გადაწყვეტილების მიმღები პირისა და სამართლებრივი წესრიგის დაცვის ინტერესებს.[34]

IV. უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების ეფექტურობა

1. უფლების წინასწარი დაცვის ეფექტურობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი „მოითხოვს, რომ ქვეყნის სამართალი უზრუნველყოფდეს ადამიანის ძირითადი უფლებათავისუფლებების სრული მოცულობით აღიარებასა და მათი დაცვის ყველა საჭირო გარანტიის შექმნას.[35]

„სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი წარმოადგენს მატერიალური კანონმდებლობით დაცული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალური განხორციელების სწრაფ და ეფექტურ საპროცესოსამართლებრივ გარანტიას. აღნიშნული ინსტიტუტის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ უფლებათა დაცვის

---

[34] Gygi f., Bundesverwaltungsrechtspflege, Bern, 1998, 28.

[35] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, 20.

უზრუნველყოფა წინასწარი და დროებითი ხასიათის ღონისძიებაა და ხდება დარღვეული ან სადავო უფლების შესახებ სასამართლოს არსებითი მსჯელობისაგან დამოუკიდებლად, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე".[36] „კანონი ადგენს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენების ზოგად საფუძველს, ხოლო სასამართლო განსაზღვრავს, არსებობს თუ არა ამგვარი საფუძველი განსახილველ საქმესთან დაკავშირებით და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებას იყენებს იმ შემთხვევაში, თუ მის გამოყენებას მიზანშეწონილად ჩათვლის. შესაბამისად, საპროცესო კანონში სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტის გათვალისწინება გულისხმობს აღნიშნული ინსტიტუტის გამოყენების დაწესებას ისეთი შემთხვევებისთვის როდესაც იგი გამართლებულია, ხოლო არის თუ არა გამართლებული, ამის შესახებ სასამართლომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება".[37] სასამართლომ უნდა იმსჯელოს და შეაფასოს, გადასწონის თუ არა მომავალში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის საჯარო ინტერესი მოპასუხის, როგორც მესაკუთრის კერძო ინტერესს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფა.[38]

მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელება მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს წარმოადგენს, ამავე დროს, მართლმსაჯულების ეფექტურობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაზე, შესაბამისად, კანონით გათვალისწინებული მექანიზმები, ემსახურება უმნიშვნელოვანეს ლეგიტიმურ მიზანს – მართლმსაჯულების ეფექტურად განხორციელების უზრუნველყოფას. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 191-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოსარჩელეს შეუძლია სასამართლოს მიმართოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებით, რომელშიც მი-

---

[36] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 10 ნოემბრის N2ბ/4198-15 განჩინება.

[37] თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 30 სექტემბრის N3/ბ-1146-14 განჩინება.

[38] თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 2 ივნისის N2ბ/2154-14 განჩინება.

თითებული უნდა იყოს გარემოებები, რომელთა გამოც სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით. აღნიშნული განცხადება უნდა შეიცავდეს ასევე დასაბუთებას, თუ სარჩელის უზრუნველყოფის რომელი ღონისძიების გამოყენება მიაჩნია მოსარჩელეს აუცილებლად. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოუყენებლობა გააძნელებს ან შეუძლებელს გახდის გადაწყვეტილების აღსრულებას ან გამოიწვევს ისეთ ზიანს, რომელიც კომპენსირებული ვერ იქნება მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრებით, იგი გამოიტანს განჩინებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ.[39]

უფლების წინასწარი დაცვას აქვს შემდეგი მახასიათებლები: გადაუდებელი საჭიროება/სასწრაფოობა, აქცესორულობა და პროვიზორულობა.[40]

ა) გადაუდებელი საჭიროება/სასწრაფოობა

უფლების წინასწარი დაცვის საშუალებების გამოყენება განპირობებულია გადაუდებელი საჭიროებით. სხვაგვარ შემთხვევაში, მხარეებს მოუწევდათ საბოლოო გადაწყვეტილებისათვის ლოდინი. აღნიშნული გადაუდებელი ვითარება ხშირად ეფუძნება იმას, რომ უმოქმედობამ პროცესის სავარაუდო ხანგრძლივობის განმავლობაში შესაძლებელია მხარეებს წარმოუშვას გამოუსწორებელი ზიანი. გადაუდებელი აუცილებლობა და წინასწა-

[39] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 30 სექტემბრის N1/5/675,681 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2 და შპს ტელეკომპანია საქართველო - საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, პარ. 52-53.

[40] Baumberger X., Aufschiebende wirkung bundesrechtlicher rechtsmittel im öffentlichen recht, Zürich, 2006, 26.

რი/დროებითი ღონისძიების საჭიროება ამიტომაც არის ნიშანდობ-ლივი პროცესის ხანგრძლივობასთან მიმართებით.[41]

სწრაფად გადაწყვეტის მიზანსა და (შუალედური) გადაწყვეტი-ლების (რომელიც ითვალისწინებს მატერიალურ-სამართლებრივ მდგომარეობას) მიღების მიზანს შორის განსაკუთრებით მნიშვნე-ლოვანი მიმართებაა.[42] ამ ფუნქციათა შორის გადაუდებლობასა და შესაბამისად, სისწრაფეს, განსაკუთრებული წონა აქვს.[43]

ბ) აქცესორულობა

უფლების წინასწარი დაცვა არის აქცესორული: იგი მიემარ-თება სამომავლო გადაწყვეტილებას და მოქმედებს მხოლოდ საბო-ლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. უფლების წინასწარმა სამარ-თლებრივმა დაცვამ უნდა უზრუნველყოს დავის საგნის შენარჩუ-ნება საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე და გამოუსწორე-ბელი ზიანის პრევენცია. უფლების წინასწარ სამართლებრივ და-ცვას არ შეუძლია შინაარსობრივად იმაზე უფრო ფართო დაცვა უზრუნველყოს, ვიდრე ძირითად გადაწყვეტილებას.[44]

უზენაესი სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სამართლებრივ ბუნებაზე და განმარტავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულე-ბის ხელშეწყობის მნიშვნელოვან სამართლებრივ საშუალებას, რომლის გამოყენებაც დაიშვება მოსარჩელის განცხადების სა-ფუძველზე მოპასუხის მიმართ, იმ მიზნით, რომ არ გაძნელდეს ან შეუძლებელი არ გახდეს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება, ხოლო სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხა-დების წარმდგენი მოსარჩელის მიზანს, საბოლოო ჯამში, მოპასუ-ხის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღება და მისი დაუბრკო-ლებელი აღსრულების უზრუნველყოფა წარმოადგენს. საკასაციო

[41] იქვე, 30.
[42] იქვე.
[43] იქვე.
[44] Häner I., Vorsorgliche Massnahmen, 1997, 64.

სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუველ-ყოფის ღონისძიების გამოყენება გადაწყვეტილებით დადგენილი მართლწესრიგის აღსრულების ხელშეწყობას ისახავს მიზნად.[45]

გ) პროვიზორულობა

როგორც თავად ცნებით „პროვიზორული" – ირკვევა, უფლების წინასწარი სამართლებრივი დაცვის შესახებ გადაწყვეტილებას აქვს მხოლოდ პროვიზორული მოქმედება, რაც გამოიხატება მხ-ოლოდ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე შეზღუდული დრო-ით მოქმედებაში. მნიშვნელოვანია, რომ უფლების წინასწარი და-ცვა მოქმედებს შეზღუდული დროის ფარგლებში, რა დროსაც გან-საზღვრული დროით იზღუდება სამართლებრივი ურთიერთობები, თუმცა არ ხდება მათი ძირითადი მოწესრიგება.[46]

უზენაესი სასამართლოს განმარტებით „სარჩელის აღძვრის პირობებში მოსარჩელე სარგებლობს ეფექტური და პრევენციული დაცვის უფლებით. ეფექტური დაცვა თავად სარჩელით მოთხოვ-ნილი უფლების მოპოვებას გულისხმობს, ხოლო პრევენციული დაცვისას მოსარჩელე უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რომ სანამ მას უფლება აღუდგება, არსებობდეს პრევენცია, რომ ეს უფლება არ გაუქმდეს".[47]

V. დასკვნა

წინამდებარე სტატიის ფარგლებში განხილული იქნა უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების მნიშვნე-ლობა და მისი ეფექტურობა.

---

[45] სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის განჩინება Nბს-821-805 (კ-12).

[46] Baumberger X., Aufschiebende wirkung bundesrechtlicher rechtsmittel im öffentlichen recht, Zürich, 2006, 31.

[47] სუს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2013 წლის 25 ივლისის გან-ჩინება Nბს-821-805 (კს-12).

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად: „ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს“. აქ უნდა მოვიაზროთ აგრეთვე, უფლების დაცვის წინასწარი საშუალებანი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თვალსაზრისით. მისმა გამოუყენლობამ შესაძლებელია ისეთი სიტუაცია შექმნას, რომ საერთოდ სადავო გახადოს პირის მიერ უფლების დაცვის შესაძლებლობა. უფლების დაცვის წინასწარი საშუალებანი მნიშვნელოვნად განსხვავდება უფლების დაცვის სხვა საშუალებებისაგან და მრავალი სპეციფიკურობით ხასიათდება. მათ შორის უმნიშვნელოვანესი საჯარო და კერძო ინტერესების დაპირისპირებაა, რომლის დროსაც გადამწყვეტი როლი სასამართლომ უნდა შეასრულოს და პროპორციულობის პრინციპის გათვალისწინებით ბალანსი დაიცვას მათ შორის.[48]

უფლების წინასწარი დაცვის დროებითმა საპროცესო ღონისძიებებმა პირველ რიგში უნდა უზრუნველყონ პროცესის მიმდინარეობისას მხარეთათვის გამოუსწორებელი ფაქტობრივი ხასიათის ზიანის წარმოშობის თავიდან აცილება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის აცილება შეუძლებელია უნდა დაკმაყოფილდეს ის მხარე, რომელსაც ამ უარყოფითი შედეგის აცილების მატერიალურ სამართლებრივი უფლებამოსილება აქვს. უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიება ასევე შეიცავს რისკის განაწილების ფუნქციას, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს უფლების წინასწარი დაცვის ღონისძიების შემცველი გადაწყვეტილების შედეგის პროგნოზირებაზეც.[49]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ უფლების წინასწარი დაცვის დროებითი საპროცესო ღონისძიების მიზანია გადაწყვეტილების აღსრულების შეფერხების პრევენცია. იგი ქმნის მხარის მოლოდინს, რომ მხარის სასარგებლოდ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებას ექნება შესაბამისი ეფექტი, არ დაბრკოლდება მი-

---

[48] წიკლაური ბ., უფლების დაცვის წინასწარი საშუალებები ადმინისტრაციულ სამართალში, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, 2011, 18.

[49] Gygi f., Bundesverwaltungsrechtspflege, Bern, 1998, 30.

სი აღსრულება.[50] უფლების წინასწარი დაცვის დროებითმა საპროცესო ღონისძიებებმა პირველ რიგში უნდა უზრუნველყონ პროცესის მიმდინარეობისას მხარეთათვის გამოუსწორებელი ფაქტობრივი ხასიათის ზიანის წარმოშობის თავიდან აცილება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის აცილება შეუძლებელია უნდა დაკმაყოფილდეს ის მხარე, რომელსაც ამ უარყოფითი შედეგის აცილების მატერიალურ სამართლებრივი უფლებამოსილება აქვს.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო აქტის შეჩერების კომპეტენციასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრა, რომ „კონსტიტუციური მართლმსაჯულების არსებული სისტემის თავისებურებების გათვალისწინებით, სადავო აქტის მოქმედების შეჩერების მექანიზმი იცავს მოსარჩელეს უფლების აუცდენელი და შეუქცევადი დარღვევისაგან.[51] აღნიშნულიდან გამომდინარე სასურველია, სასამართლოს გადაწყვეტილებები უფრო მეტად იყოს დასაბუთებული, კანონის მიზნიდან და შინაარსიდან გამომდინარე ფართო განმარტებები მიეცეს სამართლის სხვადასხვა პრობლემურ საკითხებს, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეთა უფლებების დაცვას, აამაღლებს დავის გადაწყვეტის ხარისხს და გაზრდის სამოქალაქო საზოგადოების ნდობას სასამართლოსადმი.

---

[50] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის N2/6/746 გადაწყვეტილება საქმეზე, „შპს „ჯორჯიან მანგანეზი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II, 6.

[51] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის N3/5/768,769,790,792 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (დავით ბაქრაძე, სერგო რატიანი, როლანდ ახალაია, ლევან ბეჟაშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი), საქართველოს მოქალაქეები - ერასტი ჯაკობია და კარინე შახპარონიანი, საქართველოს მოქალაქეები - ნინო კოტიშაძე, ანი დოლიძე, ელენე სამადბეგიშვილი და სხვები, აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრთა ჯგუფი (ლევან ბეჟაშვილი, გიორგი ღვინიაშვილი, ირმა ნადირაშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და სხვები, სულ 38 დეპუტატი) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, I, 20.